



სასიოფლოო გაზეთი

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ხ ი :

გაზეთი თვითღირსი	გაზეთი წლიური:
და გაზეთი ადგილობრივი:	— 3 მ. —
ერთი წლისა — 4 მ.	— 2 მ. —
ნახევარი წლისა—3 —	— 1 მ. —
ნაბი თვისა —1 მ.	

ბეკევეს წელიწადი

გ ა მ ო დ ი ს თ ე კ ე მ ი ო რ ჯ ე რ

სე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი დ ე ბ ა ს :

თფლისის მხარეთა გაზეთის რედაქციის მსჯელთაში, გ. წერეთლის და ახვ. (დუბელირა) სტამბაში, ხაზის ქუჩაზე, ბეჟუთაძის სახლებში თფლისის გაზეთის მცხოვრებთათვის ადრესი — *Въ Тифлисе, отъ конторы редакціи СЕЛСКОЙ ГАЗЕТЫ: при типографіи Г Церапельи и н°. (Дубелира).*

№ 5 ოთხშაბათი

VI

11 მარტი, 1873 წ.

შ ი ნ ა ს რ ს ი :

სოფლის სამხანაგო ბანკი—ასხნა სახანგო დეპუტატისა.—მოხელობა:—გარჯილის შიგნა. სამეცნიერო ნაწილი:—ფ დ ი ნ ვ ე ლ ბ ი ს წ ი ნ ა გ რ მ ნ ბ ა მ ო ზ სა უ რ ო ბ ა ს დ რ ო ს.—კაცის საჭილკე, სამეურნეო ნაწილი: ფურცელის მოღვაწე სამთარბა.—ასხნა სამეცნიერო მშენებელი—გომბონტონს თესვა.—გემბონობითი განცხადება.

სოფლის სახმნა:გა ბანკი

ასხნა სახანგო დეპუტატისა. *)

აქ ჩვენ ავხსენით სამხანაგო ბანკის დებულებასა თითო-თითო მუხლებია იმ რიგით, როგორც თვით დებულების მუხლებია. ჯერ ეს ასხნა იქნება დაბეჭდილი და როცა ვართ იქნებით, მერე თვით დებულებას დაბეჭდეთ, დებულება მმართველობისაგან დაბეჭდილებულია.

მუხლი პირველი § 1. სამხანაგო ბანკებს იმისთვის მართავენ, რომ სოფლის ხალხს ერთის მხრით გაჭირვება შეუღუპულებდეს. ბატონ-ყმობის გადაყარდნის შემდეგ გლეხი ამ გვარს მფლობარობაში შევიდა, რომ მართა ცარიელი მამულის პატრონია, იმისი თაწინ და თანა მართა სახანა-სათესი ანუ საენაწამე მამული; თესლის საყდათ, საქონლის საყდათ, გუთნისა და სხვა მუშობაში სახმარებელ იარაღისათვის და საქირიგებისათვის გლეხს ხელში ფული არა აქვს. ამ

სამუშავეგელ ფულის უქონლობით მამულის მოვლა და სარჩოს მოყვანა ადამიანისთვის არ შეიძლება. ჩვენი სოფლის ხალხი კი ასე უფულობაშია, ან თუ ეისმე რამ გააჩნია, ისიც ასში ერთია. ამასგარდა ჩვენი გლეხობა მართა ხნა-თვისით თავს ეერ ირჩენს. ზამთრობით სხვა საქმეს უნდა მოჰყოლოს ხელი. ზოგიერთ მხარეს, მცირე მამულიანადგილებში ხომ ხნა-თვისას თითქმის სრულობით თავს ანებებენ გლეხები. ან შემას ეზიდებიან, ან ურუმებს აუშავეებენ, ან კიდე სხვასა. ამ სხვა საქმეებისთვისაც ფულია საჭირო, ვთქვით იარაღისათვის ან სხვა სახმარებელ რისთვისმე. ამას ყველას მაინც და მაინც სამუშავეგელი ფული მოუნდება, როგორც ხნა-თვისისათვის. ჩვენს სოფლებში ისეთი არა არის რა გამართული, რომ გლეხ-კაცმა პატარა სარგებლით ფული იშოვოს და ამის გამო საშინელის დიდის სარგებლით იღებს ფულს ვაჭრებისა და მეფუტუნეებისაგან, ანა და გაჭირვებულს დროში მუქათა ჰყიდის ჩაჩრებზე თავის ნაჭირნახულესა. ამ ორისავე მიზეზით გლეხი წელში ეერ შემავრებულა და თან და თან ნელნელა უფრო გაღარიბდება უწყველათა.

ამ ნაკლულ რაიონის შემწეობა შეუძლია სოფლის სამხანაგო ბანკსა. სამხანაგო ბანკი პატარას სარგებლით ასესხებს გლეხებს ფულსა და ამით დაახნის ვაჭრებისა და ჩარ-

ჩების ხელისაგან. ეს ბანკი არც მოწყალებს საქმეა და არც ისეთი საქმე, რომ ფულის გაცემით და სარგებლით ვინმე ჯიბის გატენასა ფიქრობდეს. ბანკი მართა ისეთი რამ არის, რომ ინახავს შეტანილ ფულსა და ცოტას სარგებელს აძლევს და მსურველს ასესხებს ფულსა და გამოართმევს ცოტას სარგებულს. ეს სასოფლო სამხანაგო ბანკები არიან შესანახავი და ვასასესხებელი ბანკები.


მუხლი მეორე § 2. სასოფლო სამხანაგო ბანკი სხვა არა არის რა, თუ არ ამხანაგობა სოფლის კაცებისა. ამისთვის საბანკო ამხანაგობა, ანუ სამხანაგო ბანკი სულ ერთია, როგორც უნდა ვთქვათ, სამხანაგო საქმე ყოველთვის კარგათ მაშინ გაიპართება და იმუშავენ, რომ ამხანაგობაში კვი კაცები შემოვიდნენ და ეს მონაწილეების შეგროვება და მოწოდება ძალიან სიფრთხილით და არჩევით უნდა მოხდეს. ეს ძალიან საჭირო და უჭველი საქმეა.

ამხანაგობაში ვისაც შემოსულა უნდა ჯერ იმ კაცის ხასიათის თვისება და ვითარება უნდა გამოიძიო და მერე შემოიყვანონ ამხანაგობაში.

ვინც ამხანაგობაში მიუღიათ, სხვა მონაწილეებისაფთ იფლება აქვს, რომ თითოა ც ფულცი ისესხოს ბანკისაგან და იმის თაფდობით სხვასაც ფულის აღება შეეძლოს ამას-

*) თავა ნახე წიხს ნომერში № 1 და 2.

ქ. მარჯოს სახ. საქ. სსრ
საგარეო ურთ. საქმე
1911



თანვე პასუხის მცემელია საამხანაგო საქმის ასრულებაში და პასუხის გებაში. მონაწილე კაცმა თუ საამხანაგო საქმეში თავისი მოვალეობა არ ასრულა და პასუხი არ გასცა, მაშინ უნდა დაითხოვონ და არა სხვა მიზეზით.

რადგანაც დიდად საჭიროა, რომ ბანკის ამხანაგობაში შემოსულ მონაწილე კაცის ხასიათი და ვითარება იცოდეს საამხანაგო ბანკმა, ამისთვის საჭიროა, რომ ძველი მონაწილეები აღრევე იცნობდნენ, ვინ შემოდის. ახალ მონაწილეთ თუ ახლად იმართება საბანკო ამხანაგობა, მაინც კარგათ უნდა ამობარიონ ერთმანერთი თავის კარგა ნაცნობ გლტებში. ამისაგან ერთი საამხანაგო ბანკი რამდენსამე შორი შორს სოფლებში არ შეიძლება გაიპართოს, რადგანაც ერთმანეთის კარგი ცნობა ამხანაგებისა ძნელი იქნება. ამისთვის ერთი საამხანაგო ბანკი უნდა გაიმართოს ერთის სოფლის კაცებისაგან. რამდენიმე სხვა და სხვა სოფლის კაცებისაგან იმ შემთხვევაში შეიძლება საბანკო ამხანაგობა გაიმართოს, როდესაც სოფლები ძალიან ახლოს არიან. შემოხსენებულ წიგნს გარდა შორი შორს სოფლებისათვის ერთი ბანკი სასარგებლო არ იქნება; იმიტომ, რომ შორეულ კაცს დროზედ ფულის აღება გაუძნელდება.

საბანკო ამხანაგობაში მონაწილეობა რასაკვირველია ყველას შეუძლია კაცსაცა და დედაკაცსაცა, თუ გლტობამ საეჭვოთ არ დაინახა და არა ეფიქრება რა თვად აზნაურით, ეპატირც შეუძლია მიიღოს. თუ არ მოინდომა გლტობამ ძალის დატანება არაის არ შეუძლია, რადგანაც ნება ყოფლობით იმართება ყველა ამხანაგობა.

დედაკაცის მიღება ამხანაგობაში არ უნდა იუცხოვოს საბანკო ამხანაგობამ რუსეთში ყველა საბანკო ამხანაგობაში დედაკაცის მონაწილეობა მიდებულა. ეს ამიტომა რომ ქვრე დედაკაცსაც შეეძლოს თავის და თავის შეიღების საჭიროებისთვის ხელის გამართვა. აგრეთვე ბევრჯელ მოხდება, რომ ცოლი სოფელშია და ქმარი სხვაგანა მუშაობს

და მუდამ ცოლთან არ ცხოვრობს ერთს სოფელში. რასაკვირველია დედაკაციც საბანკო ამხანაგობაში ისეთივე მონაწილე უნდა იყოს ფულით, როგორც სხვა ამხანაგები არიან. დედაკაციც ისე უნდა შეიყვანონ ამხანაგობაში, როგორც კაცი.

სოფლის საბანკო ამხანაგობაში თითო კაცობით უნდა შეიყვანონ მონაწილეთა. მმართველობის დებულებაში არის მოხსენებული მეორე მუხლში, რომ თითო კაცს გარდა შეიძლება რომელიმე მთელი ამქრის მსგავსი ამხანაგობაც მონაწილეთ მიიგიღონ საბანკო ამხანაგობაში. რადგანაც ჩვენში რუსეთის მსგავსი ამხანაგობა არ არის ამ ქალაქების ამქრობას სოფლის გლტებთან საერთო საქმე არა აქვთ რა, ამისგანა ჩვენის სოფლის საამხანაგო ბანკებში მარტო თითო კაცობით უნდა მიიღონ. სოფელი რომ ახლოს იყოს რომელსამე ქალაქთანა და ქალაქის ამქრობამ სოფლის ბანკში მონაწილეობა მოინდომოს ჩვენში ხეირს არ დააყრის სოფლის ბანკსა და მალეც მოიშლება საბანკო ამხანაგობა. აქ უნდა მოვიხსენოთ რომ მმართველობა სრულს ნებას აძლევს საბანკო ამხანაგობას, ვინც უნდა, მიიღოს, და ვინც არ უნდა, ნუ მიიღებს, თუ უნდა ამქრობის მიღება ისიც შეუძლია, მაგრამ, როგორცა ვთქვით. ქალაქების ამქრების მიღება სასარგებლო არ იქნება სოფლის ხალხისათვის, უკეთესი იქნება თითო თითო კაცობით მიღება თვით ერთის სოფლის გლტებისაგან. ალოც იქნება, კარგა მცნობიც იქნება, ერთმანერთის საჭიროებაც კარგათ ეცოდინებათ და თვალ-კურსაც უფრო კარგათ ადვენებენ ერთმანერთსა.

უეტრე უმიკაშვილი.

(შეიღებო იქნება.)

ძიხელებს.

გარჯილას შიგან.

რუსეთში გვარჯილის მიწას თვითონ აკეთებენ. საგვარჯილე მიწის შესამზადებლათ საჭიროა შესაფერო მასალები და აგრე-

თვე მიწაც იმის შესაფერო საგვარჯილე შავს მიწას უნდა აუჩიო ცალკე მოგროვებული შარდი, ცხოველის სისხლი, საქონლის ლეშები, ქარხლის ჩენჩო, კართობილისა და სხვ. მელი, კირი, ნაცარი და სხვ. შემოხსენებული მასალები გვარჯილის საკეთებლათ მიუცილებლათ კარგია, რადგან შავს მიწაზე დაყრილს ძველს საქონლის ნეტესა მალე შემოზადებს საგვარჯილათ; ამისგან კარგი საგვარჯილე ალაგები იქ უნდა ეძებოს კაცმა, საცა საქონლის ნეტე ბევრად ღიღს ალაგზე მიწაში გართული. უნეტხო მიწა არ ვარგა გვარჯილის საკეთებლათ. ძალიან კარგია ძველი ნეტე რომ შავ მიწაში აიროს, დაგროვდეს ერთ ალაგას ზეინებათ, შიგ შემოთ მოყვანილი მასალები გაუჩიონ და სულ ესეები ზეინებათ დაიდგას და ზევიდგან ორჯირაში ერთხელ საქამოთ წყალი დაესხას.

რადგან ყოველი მოხელობა მაშინ წაეკარგათ, როცა იმის შესამზადებელი მასალები ძვირათ არ ჯდება; დიდი სანტხეების მარწყვებს ისე ბევრი წყალი უნდება, რომ იმისი რიგინათ მორწყვა მეტი არ შეიძლება, ისე ბევრს შრომას ითხოვს; მაშ იქ საგვარჯილე ზეინები ისეთს ალაგას უნდა გაკეთდეს, რომ წყალი მაინც ახლოს ჰქონდეთ, ვინცობაა ხშირი წვიმა არ იყოს, ახალი საქონლის ნეტე სანამ გვარჯილის საკეთებლათ გამოდგებოდეს ხუთი წილი ან ექვსი მაინც უნდა იყოს ისე, ვიდრე კარგათ არ დიშლება, დაფეიერდება და სულ შევიწით არ გადაიქცევა.

გარჯილას ხეკუთებული შენაბების გამართვა.

1 უნდა გაკეთდეს დიდი ჩაღური, ანუ ფიცრული სახლი, ანუ კეთიკირისა ცხრა საყენი სიგემ, სამი საყენი და ორი არზინი სიგენე და ერთი საყენი სიმაღლე. ამ ფარდულში იქნება გაწყობილი გვარჯილის სახდელი ქვერები და ქვაბები.

1 საჭიროა მეორე ფარდული იმავე ზომისა გობების და დიდი როფების დასადგმელათ, რომ იქ დაილიკოს კენიტებათ გვარჯილა.



ქ ვ ა ბ ე ბ ი .

1 ქვაბი უნდა იყოს რკინის რგვალი ზე-
ნით სიგანე ორი საყრენი უნდა ჰქონდეს, სი-
მაღლე ერთი არშინი და ორივერწოკი, უნ-
და ჩაიღოდეს შიგ სამსასამოცი ვედრო წყალი.

2. მეორე ქვაბი გადასაღებელი იმავე რკი-
ნისა ოთხკუთხედი, სიგანით თითო საყრენი გვე-
რღები უნდა ჰქონდეს და სიმაღლე ერთი არ-
შინი. შიგ უნდა ჩაიღოდეს ას სამოცი ვედრო.
ქვაბებს შეიძლება სხვა და სხვა მოყვანი-
ლობა ჰქონდეს, მაგრამ რაც ზემოთ არა
გვეხიოთ იმაზე უფრო მესი ალარ უნდა იყოს. ქვა-
ბებს ზევით თავსახურავები უნდა ჰქონდესთ
გაყვებულები, რომ აღუღებდნ ღროს არ გად-
მოიღვაროს. და მეორე შეუმბესაღ დუღილის
ღროს არა გაუჭირდესთ რა. ქვაბებზე მავარ
ქრქათ დაიღებება ნადული ნაცარწმულისა,
სოველ ორი კვირის შემდეგ ფრთხილათ უნ-
და შემოაღებონ ეს ქვრქი, თორემ შეშაღ
ქვრქი წავა და ქვაბებიც მალე დაფუჭდება.

ბ უ ზ ა რ ი ა ნ უ ქ უ რ ა

ქურას აკეთებენ ამოთხრილს ხარაში ისე,
რომ ორივე ქვაბი ერთი ცეცხლით დუღ-
დეს. ქურების მოწყობილობა სულ სხვა და
სხვა ნაირი, და რასაკვირველია, ის სჯობია,
რომელიც უფრო ცოტა შეშას ანდომებს
გორჯილის ზღას. ქურები ორნაირი კეთდება:
ერთი ისეთი, რომელსაც ქვეშიდგან ნიადაგ ქა-
ბი უჭერავს, და მეორე—სადაც საბერველი
რა აქვს. უსაბერველო ქურა იმითია კარგი,
რომ ნაცარს ბევრს აძლევს და საბერველი-
თ უფრო ცოტას შეშას ახარჯებს. უსაბერ-
ველო ქურა იმ ალაგას აკეთებენ, სადაც საწ-
ვით მხოლოდ შეშას ხმარობენ. საცა ქუ-
რის ბზეთი ახურებენ, იქ უსაბერველო ქუ-
რის ხმარება იმითი არ ვარგა, რომ საწვავ-მასა-
ლსაც ბევრს მოინდომებს და იმდენი ნაცარი
აუჭრება, რომ ბზის შესანთებათაც აღარ
უნდა ალაგვი. კარგს ქურებს შემდეგი თვისე-
უნდა ჰქონდეს: ქურის ძირიდან ქვაბის
ძირამდის ქურას ერთი არშინი და ათი ცერ-

შოკი სიმაღლე უნდა ჰქონდეს. ძალიან არ
უნდა უზერავდეს ქარი ძირიდან და არაო-
დეს კოპლი ან ალი უკან არ დაბრუნდეს.
მეორე პაწაწა ქვაბს ქვეშ პაწაწა კები უნდა
ჰქონდეს ქურასთან მიკეთებული, რომ ცე-
ცხლმა უკეთ იმუშაოს.

ქურასთან მიწაში უნდა იყოს ჩაფლული
ბოჭკა და შიგ წყალი ესხას. წყალი საჭიროა
ცეცხლის გასაქრობათ და, ენიციობაა, თუ
ბზისაგან ცეცხლი გაძლიერდა, ხუთას ორმოც
ვედრო გორჯილის წვენი გამოსახარშავდ თი-
თქმის ერთი საყრენი შეშა უნდება ან ასო-
ცი ფუთი ბზედა ჩალა.

ხ ა ს ჭ უ რ ჯ ჳ ე ბ ა და ს ხ ვ ა ხ მ ა კ ა უ ჳ ე ბ ი .

საგორჯილე სასუქის გამოსაწურავათ უნ-
დება ორმოცდა რვა დიდი ბოჭკა. თითო
უნდა იყოს სიმაღლით ორი არშინი და თით-
ხმეტი ვერწოკი. ბოჭკები ან საწყლე კოდები
ყოველს ხიდგან შეიძლება გაკეთდეს. თორ-
მეტი კოდი ან ბოჭკა უნდება ნაცარის ძალის
დაყენებას სიმაღლით ორ არშინზე მეტი არ
უნდა იყოს.

წვენის შესაკრები ბოჩკები დიდი კოდები
თითო ოთხმოც ვედრიათი კოვშები ოთხ ვედ-
რიათი ათი, წვენის ამოსადები დიდი კოვშები
თექვსმეტი, რკინის თავებიანი ნახებები თოთ-
ხმეტი უნდა.

წილის დასადნობელი კოდები ათ ვედრიათ.
ერთი გორჯილის მოსაგროვებელი ბოჭკების
ზეთი.

პაწაწა კოდები ხაშური გორჯილის მოსაქ-
რევათ ოთხმოცდაათი და სხვა საჭირო-
ებისათვისა კიდევ ათი—სულ ასი კოდა
უნდა. ძველი ბოჩკებისაგან შეიძლება დაა-
კეთოს კაცმა ამისთანა კოდები, თითოს უნდა
ჰქონდეს სიგანით; თოთხმეტი ვერწოკი,
და სიმაღლით ექვსი ვერწოკი. ორმოც
ვედრიათი ბოჭკა წყლისა და ნაცარწმუ-
ლისათვის რვა, ხის დასახმელი რვა, წყლის
ბოჩკა ქურის მახლობლათ ერთი. ერთი
ოთხმოც ვედრიათი დიდი ბოჭკა; გორჯილის
გასარეცხი კოლოფი ერთი, ერთი ტილო-
გაკრული ზესადგარი გორჯილის გასაშრო-

ბათ. ორი ღარი ნაცარწმულის გასაყვანათ
ბოჩკებში;

თორმეტი ურემი წყლისა, ნაცარწმულის,
ან გორჯილის წვენის მოსატანათ, აგრეთ
შეშისა და საგორჯილე სასუქის მოსატანათ;
თორმეტი უღელი ხარი უნდება წყლის ჩა-
სახმელს კოდებს გარდა, საგორჯილე წვენის
შესახანავათ დიდი ბოჩკები რკინის საღებით
უნდა იყოს მორთული. რვა კოდი ერთად
გამწკრივებული შედაგენს წყებას; ოთხი კო-
დი ნახევარ წყებას. თითო წყებას ორი მუშა
აღვია; თითოს ოთხი კოდი აქვს მიჩენილი
და შიგ ყრის მიწას, გამოწურულს გადაყრის,
გამოწურულს მიწაზე სასუქს დააყრის.
ორივე გააყვებენ წყლით რვა ბოჭკას, გა-
დააქეთ გამოანაწური სხვა ბოჭკაში.

მ უ შ უ ბ ის რ ო ც ჳ ე ბ ა

გორჯილის ქარხანაზე ექვს წყებაზე თორ-
მეტი კაცი უნდა; წყლის მომტანი ოთხი კა-
ცი; საგორჯილე მიწის წვენის გადატანა ქა-
რხანაში, ერთ ვერსტზე შორს თუ არ იქნა
ის საგორჯილე მიწაზე. სასუქის მოტანისა-
თვის გამოწურულ მიწის მისამატებლათ ორი
კაცი; შეშისა და ჩალა ბზის მისატანათ ორი
კაცი; ქურასთან ხელის შესაწყობათ ორი კა-
ცი. ქურების გახურებას გარდა იმათ ქვაბ-
ბიდგან ნახარში და წვენის ნაბოლარა უნდა
გადაყარონ. საჭიროა ერთი ოსტატი და ერ-
თი იმის შაგირდი, ბოჭკების მკეთებელი, მწყე-
ბისი ქალი და კაცი საქმლის მკეთებელი.

ს ა გ ო რ ჳ ი ჳ ე მ ი წ ა ს ხ ი მ ი წ ი ა ე უ და ი მ ა ს გ ა მ ო -
ს ჳ ა .

კარგათ აქამდის ვერავის შეუტყეია სრული
საგორჯილე მიწის სიმწიფე; ესე იგი საშუა-
ლება არა აქეთ რა, რომ გამოიციონ, რამ-
დენი გორჯილა გამოვა საგორჯილე მიწაში.
ყველაზე უფრო კარგათ შეეტყობა მიწიდან
გამოხდის წვენის ფერს, თუ წვენი მუქი
წითელია, ეს იმას ნიშნავს რომ ნეხვი ჯერ
კიდევ არ დარღვეულა, არ დაშლილა, არ
დამპალა; თუ წვენს მწვანე ყვითელი ფერი
აქვს, მაშინ საგორჯილე მიწა ბევრს გორ-
ჯილას გამოსცემს, თუ წვენს მოთეთრო ფე-



რი აქვს, მაშინ იმ მიწაში ცოტა გორჯილია.

ახლა მოგვეთ, თუ როგორ გამოხდინან, ან წურენ საგორჯილე მიწას.

ყოველს წენის სახელე ბოქკაში ჩადებენ ოთხს პაწაწა ბოძს, თითო სიმაღლით რვა ვერშოკიანი უნდა იყოს. იმათზე გადებენ ორს ჯოხს და ამ ორს ჯოხზე ჯვარადინათ კიდევ ოთხს ჯოხს გადებენ, მერე ზედ მოაწყობენ ჯვარადინებათ ჭილის კონებს, ან თუ ის არ არის, სელის, ან პურის ჩაღას კონებათ შეკრულს, ბოქკის ძირიდან ამ ჩაღამდის თერთმეტი ვერშოკი სიმაღლეა. ბოქკაში ორი ნახერცია, ერთი ძირს გამოწურული წენის გასაშვებათ, მერე ზევით ბოქკის გვერდით ჭილღის საფენს ქვეშ პერის შესასვლელათ: უმცხათ წენი ძირს არ გავა. ქვედა ნახერცი ხს კოტათია დაქუელი; მხოლოდ ზედა ნახერცია ყოველთვის გადებული. საგორჯილე მიწას ჩაყრიან ბოქკაში ზევით საფენზე იქამდის, რომ ბოქკის გაესებათ ერთი ზელის დადებაც კიდევ; თუ ზელტი, ან ნაკუჭი მიწისა შეეყ, დაუნებან, რომ უფრო წმინდათ და კარგათ გამოიხადოს წენი იმისგან, მიწას რომ ჩაყრიან, ყოველ ნახევიარ არშინ სიქნე რომ მოაყრიან, მერე დაუწყებენ ტკეპნას. ან უნდა კარგათ დატკეპნონ, ან ცოტათ; ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ თეიქისა არის მიწა.

მშრალი ნებვის საგორჯილე მიწა ძალიან დატკეპნონ და შავი თიხა ნახევიარ საგორჯილე მიწა კი მსუბუქათ, მაგათ თუ დატკეპნენ ცოტა წენის გამოსცემს და ძალიან სუბუქად დატკეპნილი ბეგის წყალს გამოსცემს და გორჯილია კი ცოტა ექნება შიგ გადნობილი. როდესაც ბოქკებს აასებენ, მერე ზევიდან დაფარებენ ჩაღას; ჩაღის საფარის იმიტომ უტეებენ, რომ წყალს როცა დაასხმენ ზევიდან მიწა არ ჩაღრუტნას; ჩავა თუ არა წყალი მიწაში; კიდევ მეთრეთ დაასხმენ ზევიდან ახსახით თან გაღის მიწაში წყალი და წყალს უმატებენ. ანუ რომ ყოველ დღე სამჯერ-ოთხჯერ მიანც მოასხმენ წყალს ზე-

ვიდგან. ნებვიანს მიწას უფრო ცოტა წყალი უნდება და მეთრეთ უფრო მეტი. ორივე შემთხვევაში ყოველდღე თითო ბოქკას, ან წენის სახელეს კოლს დღეში უნდება ოცდათორმეტი ვერდიდან მოკიდებული ორმოცდა ოთხ ვერდამდის.

თითო კოდიდან ერთს დღე და ღამეს გამოღის ათ ათი ვერი წენი და ყველა ექვს წყებოდან ანუ ორმოცდა რვა ბოქკიდან გამოღის ოთხას ოთხმოცდაათი ვერდა წენი. გამოწურულ მიწას რომ გადაყრიან, კოლზე თითო ურემი ნებვი უნდა აურიო; ხუთი წლის შემდეგ ეს მიწა კიდევ ივარგებს გორჯილის გამოსაწურავათ; ნებვის მოუმატებლათ კი ორ გამოწურვის შემდეგ საუკეთესო საგორჯილე მიწაც გაუქუდება და აღარაფერს მისცემს. რომ გამოხარშვაში ბევრი შეშა არ დახარჯოს, და ძალიან ბევრი გორჯილიც გამოვიდეს საქორაო გორჯილის წენი ძალიან სქელი გამოდიოდეს კოდეზოდან და ძალიან ცოტაც; ამისთვის საგორჯილე კოდეზს გამარავლებენ ერთი სამათ, ან ერთი ოთხათ და მერე ერთი კოდიდან გამოცურულ წენს გადაასხმენ მეორე კოლში და მერე ექსამე კოლში; ამნარიათ სამი კოდიდან გამოცემული წენი სამჯერ უფრო სქელი იქნება: მერე რომ მიწაში გორჯილია, ცოტაც არის, დარჩეს დაასხმენ კოდეზზე ხელმეთრეთ ჯერ ძალიან თხელ წენს და მერე წყალს, რომელიც სულ ჩაიტანს დანარჩენს გორჯილას. ამის დამწერი ამტკიცებს, რომ ბევრი ვიყავი გორჯილის სახელეს ქარხნებში, მაგრამ ყოველგან უჩიოდენო ამნარ გამოხდას, არსად არ იცა გაო. იმან ისევ ზემოთ მოხსენიებული გამოხდა მიწისა ცალცალკე კოდეზში ამჯობნა.

(შედეგი იქნება)

სამკენიერო ნაწიდი

ფრანკელებს წინაგრძობა მოგსაჭრობას დროს.

შემოდგომაზე, როდესაც ჩვენს ფრინველები გვმორდებიან, ვის არ მოსვლია ფიქრში

რისთვის მიფრინავენ ეს ფრინველები ამ სიშორს, ან რა ნაირად ძებნიან თავიანთ უწინდელ ალაგებს?

ამ გადფურენის მიზეზია ფრინველების წინაგრძობა, როგორც კეით შეეცეკობთ. საწინამდის ამის ამბავს დიფიყებ, მანამდის შეეცეკობთ, რა არის წინაგრძობა? ეს არის ფრინველების თბილ ქვეყნებში გადფურენის მიზეზი, თუ არა?

პირველ კითხვაზე შეგვიძლია მოგვცეთ პასუხი. წინაგრძობა არის შთამომავლობითი დარჩენილი ჩვეულება. ცხლა ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, ჩვეულება ჩამომავლობითია, თუ არა? ამის დასამტკიცებლათ ჩვენ უნდა მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითები. ყოველ კაცს ვისაც ფუტკარი ჰყოლია, ექნება შენიშნული, რომ ზოგიერთი სკის ფუტკარეს თავის მგზობლებისთვის თავილი მოუპარავს იმემაგიერად, რომ თითონ ვაგეცეკობა. ბევრ ნაკლებობაში არ მოხდებოდა, რომ მარტო ეს ფუტკარი ყოფილიყო ქურდი, მაგრამ ამითი უღვი ყოფა-ქცევა გადადის ამ შთამომავლობაზე, ამიტომ როდესაც კარგი ფუტკარის მომკლელი ატყობს სკას ამისთანა მკლულებენებას, მაშინვე ხოცავს ამ სკის ფუტკარს. ეს ამბავი ხშირად ხდება, ვინც კი დუკვირდება.

აი, კიდევ მეორე მაგალითი. ერთმა კაცმა ერთხელ დაინახა, რომ სკა დაცემულა ქარსაგან; ის მივარდა და დაყენა თავის უწინდელ ალაგას. ფუტკრებმა იფიქრეს, რომ იყო ჩვენი წაქცივის მიზეზი. შამოდისენ საოცრად დაკბინეს. გასაკვირელი არ არის რომ ეს ფუტკრები შეერეც კენდენ ამ ქარსაგანს ის არის გასაკვირი, რომ ამ ფუტკრების ჩამომავლობაც სულ კენდა. რასაკვირელია ამ უკანასკნელს აც კი ესმოდა რისთვის კენდენ ამ კაცს, მაგრამ შთამომავლობითი ჩვეულება ქონდათ დარჩენილ ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა უფრო ბევრი მაგალითები ამ საქმისთვის, თუ რომ დაუკლებოდით კაცის ჩამომავლობითი ჩვეულებას. მაშასადამე ჩვეულება არის ჩამომავ-



ბითი ეხლა დაუკვირდეთ, რა ნაირად გადადის ეს ჩამომავლობით ჩვეულება წინაგარძნობათ.

ამის ასახსნელად ავიღოთ ეს მაგალითი, ვითომ ჩვენ გვიჩინდა შევიტყუოთ, რა ნაირად გამოადის ის წინაგარძნობა, რომელიც ამით პირველ ბუდეებს აკეთებინებს.

ამის გულისთვის ვიფიქროთ, რომ რომელიმე ერთი გვარის ფრინველი უწინ ბუდეებს არ იკეთებდნენ, მაგრამ ერთხელ უნებურად კვერცხი დაოა ჩაღრუქებულ ალაგას სწორი ალაგის მაგივრად. ამ ფრინველმა ნახა, რომ ასე დაბუდეება სჯობია, ვინამ სწორ ალაგას. მეორე წელს რასაკვირველია ისევ მოძებნის ჩაღრუქებულ ალაგს ან თითონ მონახავს. რამოდენიმე წლის მერამ ამ ფრინველს ასე დაბუდეება გადაეცა ჩვეულებათ. ეხლა ჩვენ ვიცით, რომ ჩვეულება არის ჩამომავლობითი; თუ ეს ასეა. რატომ არ ვიფიქროთ, რომ ამ ფრინველმა ეს ჩვეულება გარდაცა თავის შთამომავლობას. შთამომავლობისთვის ეს ჩვეულება იქნება დაბადებულად დაყოლილი. დაბადებულად დაყოლილს პსინაურს ჩვეულებას ჩვენ ვცხადებთ წინაგარძნობას.

ფრინველების გადაფერვის ამრალეებზე სიცოცხეს და საქმელის უმოგრობას. მაგრამ ეს სულ ტყუილია. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ქვეყანაში კიდევ თბილა და საქმელიც ბევრია, მაგრამ მერცხლები სხვებზე უფრო მალე გემორიდებიან. გალიაში მყოფი ფრინველი გადაფერვის დროს ძალიან შეწუხებულია და უნდა გაფერვან, თუმცა ბევრი საქმელიც აქვს და თბილათაც არის. ამ მაგალითიდან შეგვიძინა შევიტყუოთ რომ მაინდამანაც ფიზიკური მიზეზები იყო ამ ფრინველების გადაფერვის ბრალი. არა, აქაც ისევ წინაგარძნობის ბრალია.

თუმცა ეხლანდელი ფრინველები წინაგარძნობით მიფრინავენ თბილ ქვეყნებში, ჩვენ ძალიან შევცდებით, თუ ამასვე ვიფიქრებთ პირველ ფრინველებზე. წინაპირველი ფრინველების გადაფერვის მიზეზი იყო, რომელიმე

ალაგას სიცოცხის უცებ დადგომა, სიცოცხის მოსწორებლად. ეს ფრინველები ეძებდნენ იმისთანა ალაგს, საცა უფრო თბილი ალაგი იყო და ამითი გარძნობით უკან ბრუნდებოდნენ, ნამეტანი სიცოცხისგან, თავის სამშობლოში ამნაირათვე მეორე მესამე, მეოთხე წელიწადს გადაფრინდებოდა. მერე გადაეცეოდა ჩვეულებათ და შთამომავლობის წინაგარძნობათ.

ნამეტანი ჩვენ ფრინველთაგანი მიფრინავენ უზაზღვის იქით ჩვენ ვიცით, რომ ახალი ფრინველები უფრო გვიან მიფრინავენ ჩვენგან, ვინამც ძველები. ამისგან შეგვიძლია შევამჩნიოთ, რომ პირველ წელს ძველ ფრინველების მაგალითით არ მიფრინავენ. მაგრამ რაწაირად ძებნიან გზას? რასაკვირველია ამ საქმეში ქარი ბევრს ეხმარება. ჩვენ ვიცით, რომ ფრინველს შეუძლია ფრენა მსუბუქათ და დიდხანს მარტო იმ მხარეს, საიდანაც ქარი ჰქრის. ჩვენშია ქარი, ან სამხრეთ დასავლეთით და ან ჩრდილოეთით აღმოსავლეთით. ბევრნი დაკვირებიან, რომ შამოდგომაზე ჩვენიდგან მიფრინავენ სამხრეთ დასავლეთისკენ და გამოზაფხულზე ჩრდილოეთ აღმოსავლეთით. ბევრი ფრინველები, როცა ბრუნდებიან უკან, მიღინ იმავე სოფელში, სადაც იყვნენ დასავსანივჯით ამავე ბუდეში დებენ კვერცხს. საც პირველ წელიწადს დადევს. ფრინველს ამაშინ ეხმარება თავისი მშვენიერი მხედველობა და ხსოვნა. ბევრჯერ ფრინველი 18 წლის განმავლობაში ერთ და იგივე ბუდეში დებდა კვერცხებს.

კაცის საკმეფსე

ბევრჯერ ჩვენი ავთომეყოობის მიზეზია საქმელი, რომელსაც ეხმარობთ, გვეყენს ბევრი ან ცუდად მოხარული საქმელი. ჩვენ ვიცით, რომ საქმელს ჯერ პირში ელექციით, რომლის დროს გვეხმარება ნერწყვი, მერე დაღუქულ ნაჭერს ვყლაპავთ კუჭში. როდესაც გინდა მაგარი ან ხმელი საქმელის ნაჭერის გადაყლაპვა, ამისთანა საქმელი მაშინვე უკან ბრუნდება ე. ი. პირიდან გვასაქმებინებს. ხანდისხან შეგვჩხვდება მაგარი საქმელის გადაყლაპვა, მაგრამ ამისგან მოხებება ხოლომე მუცლის

ტკივილი. ჩვენი კუჭი ფორმით ვაგს სტივის. კუჭი ძვეს ჩვენ გულის კოვზს ქვეითა, კუჭს აქვს თითონ ამოსავალი და გასავალი ნახურტი, ჩასავალი ჩვენი ყელია და გასავალი ის, რომლიდგანაც მოხარული საქმელი გადადის წელიებში. კუჭის შიგნითა კვლეებისგან ყოველთვის გამოდის წვენი, რომელსაც კუჭის წვენს ეძახიან.

როცა საქმელი ჩადის კუჭში, ეს უკანასკნელი საქმელის იქით-აქით ატრიალებს. ამ ტრიალის დროს საქმელი და კუჭის წვენი ირთიან ერთმანეთში, რისგანაც საქმელი იცვლება სქელ ფფასავით. ასე გაკეთებულ საქმელი კუჭი ჰგზავნის წელიებში, აქაც საქმელი ცრევა სხვადასხვა წვენებში. ამ წველების კვლეები კრეფს რაც საჭიროა ამ მოხარული საქმელიდამ და დანარჩენს გარეთ ისვრიან. წველებიდან საჭირო წვენი გადადის სისხლის მასრებში, რომელთაც ეძახიან ვენას. ამ ვენებით არის სხეულ ჩვენი შიგნით და გარეთი ტანი. ამ ვენებს ეს წვენი მიჰქვთ გულთან. გულიდან გადადის ფილტვებში, სადაც ჰაერისაგან წითლდება და იქცევა კარგ სისხლათ. ეს სისხლი სისხლს მასრებით დაიბუნს მთელ ტანს და ყოველ ტანის ნაწილს მიჰქვს საჭირო მასალები თავის საცხოვრებლათ. კარგია, ვინაც მოუყლის თავის სისხლს კარგათ. სისხლი ხიბება როგორც ცუდი ჰაერისაგან, ისე ცუდი საქმელისაგან. თუკათ კარგი საქმელიც რომ ექამოთ და ბევრი, ისიც სწყენს კუჭს. აგრეთვე წამხდარი საქმელიც ცოტაც რომ ექამოთ, ისიც სწყენს. ძალიან სწყენს, როგორც კუჭს, აგრეთვე მთელ ტანს ბევრი საქმელის ერთად შეჭმა, აგრეთვე სწყენს ხშირად და ცოტ ცოტარა საქმელის ჰამა თუ საქმელი მუცელში არ ნელდება კარგათ, ძალიან დიდი გავლენა აქვს ჩვენ სიმრთილეზე. იმედი მაქვს მეორე ნომერში გითხრათ რა დარა დროს უნდა მიიღოთ საქმელი.

სამეურნეო ნაწილი

ფუტკრების მოვლა ზამთარში. ამას წინეთ ჩვენ ვილაპარაკეთ, თუ რა ნაირი საფუტკრები უნდა აკეთონ ზამთარში



ბეკის ძირებთან, ახლა იმისთანა საფუტკრებში უნდა აეწერათ, რომ სწორ მიწაში იყოს გათხრილი, სადაც ნიადაგის ქვედაპირი აყალიბებისაგან ანუ თიხისაგან არის შემდგარი. ამნაირს საფუტკრეს ჩაობრიან ზევიდგან და შიგ ჩასასვლელად კიბე უნდა იყოს გაკეთებული. ამისთანა საფუტკრეს ეძახიან რუსეთში ფუტკრის ხაროებსა. ჯერ ამოთხრიან მიწის ერთ არშინ სიგანეზე აქამდის, რაც თიხა ანუ აყალიბიწა გმოჩნდება; მერე თან ღრმა ეგებენ და აგანებებენ კიდეც; სანამდის ჩამდენიც საჭიროა, იმ სიგებს არ მისცემენ; შემდეგ კვლავს ჩამოაუსწორებენ, სწორათ ჩამოთხრიან. ამ ნაირს ხაროს ოთხკუთხე ბოთლის სახე აქვს. შემდეგ გამოსწვენ ისე, რომ კვლავი ძალიან გაუმჯეს. ღრვსაც ამისთანა ხაროს ავსებენ სკვებით საფუტკრეს ყელს ფიცრებით შესწორენ და რომ იმათ შუაკარიელი ალაგი იყოს, ზედ დადებენ ცარიელს სკის კოდსა. მერე ფიცრებზე ჭილოფს შემოაყრიან ისე, რომ მიწის ხაროში ჩასვლილი ნახევარ არშინს სიგძენე მიინც იყოს ამოწული. სკის გარშემო ოთხს ჯოხს დასაბენ, იმათზე ვადებენ კიდეც ჯოხებს და ზედ სახურავს გაუკეთებენ, რომ გინციბაბა თოვლი მოვიდეს, ან წვიმა, წყალი ხაროში არ ჩაივდეს. თითოეულს ამგვარს მიწის საფუტკრეს ერთი არშინი სიგანე აქვს და თითქმის იმდენი სიგძეცა. მცირე როსსიაში სულ ამისთანა მიწის საფუტკრეს აკეთებენ და შიგ ორმოცდაათს ან ორმოცს სკის ან ფუტკრის კოდს ჩასტევენ. როგორც ვტყობა ამნაირი ხაროები ფუტკრის დასაწამობრებლათ ძველიდგანვე მოგონილი ველური ხალხისაგან და ამისთინ დიდი ნაკლულეფანებაც აქვს. რადგან კაცი ვერსათ მიუდგება ამისთანა ხაროს, გამოწაფულზე სკების პატრონი ხშირად შემოიკრავს თავში ხელს, რომ ნახეს ნახევრობამდის სულ წამდარს ფუტკრის სკებსა. ამის დამწერს შეხებდრია ისეთი საწამობრო მიწის ხარო ფუტკრებისათვის, რომ ოთხმოცამდის ფუტკრის კოდი, ანუ სკა სულ დამპალიყონ და ჩაქმენებულ იყონ, აღარც თაფლი და

აღარც სანთელი იმათგან აღარ ყოფილიყოს გამოსალბები. ფუტკრებიც სულ ერთიანად დამწყდარიყოს. ახლა ამისთანა ველურს ფუტკრის მოვლას რუსეთში თან და თან თავს ანებებენ. ამაზე ბევრათ უკეთესი საფუტკრეები სწორ მინდრიან ალაგებში კეთდება შემდეგ ნაირათ, თეთონ ხაროს უკეთებენ ფიცრის ჭერსა. აი, როგორ იწყებენ ამნაირათ საფუტკრის მოთხრას: ამოთხრიან სიგძე სიგანით არშინ ნახევარს და მერე თაღით უნდათ შესწორან, თუ ჭერი არ უნდა გაუკეთონ. ან გათხრიან ოთხ არშინის ჭიღრმეზე მიწას აყალიბიწაში ასე რომ ზედა ფხვიერ მიწის ნიადაგიც რომ ზედ შეაკცოს კაცმა, სულ ექვსი არშინი სიმაღლე უნდა გამოვიდეს; მერე შემთხვევაში, როცა ფიცრის ჭერს უკეთებენ, ოთხი არშინი და ერთი ჩეთეფრი სიმაღლეც ეყოფა. ამ ხაროს კვლავში, საითაც უნდათ გათხარიან საფუტკრე, იმ კვლავშიც გამოქვადენ სამ არშინს ნახევარს სიმაღლეს და ორ არშინს სიგანეს, ზევით ვიწრო თაღს შეუკვრენ: მერე ამ გამოქვავულის უკან კვლავში გამოქრიან პატარა კანს ერთ არშინსა და ერთ ჩეთეფრს სისქეზე; მერე იმას იქით გათხრიან თეთონ საფუტკრეს სიგანით სამა და ერთ მეოთხედ არშინსა, სიმაღლით სამ ნახევარ არშინს თალიან ხაროსა; სიგძეს იწომისას უქმენ, რა სიგძეც საფუტკრე ხაროთ სჭირდებათ. თუ უნდა ჭერი გაუკეთონ, მაშინ ზევით ხაროზე მიწას გადათხრიან და პირს უჩენენ საფუტკრეს მთელს სიგძეზე. ამ ხაროს კუთხეებზე ოთხგან ჩასაბენ მუხის ბოძებს, ზედ ვადებენ დირეებს და შემდეგ დალაგებენ მუხის ფიცრებსა, მერე ზედ მოაწყობენ ჭილობებს და იმის ზემოთ მოაყრიან მიწას. ამ ნაირად ვაკეთებულს საფუტკრეს პერი შეულის ჩასავალ პირველ ხაროდგან და ფანჯრიდგან. პატარა საფუტკრე ხაროს პერის საქმაოთ შიგ შესასვლელად ესეც ეყოფა; მაგრამ თუ ხარო დიდი უნდათ გათხარიან, მაშინ ალაგ-ალაგ სასულეები უნდა დაატანიონ ჭერში. ჯერ ვახერტენ ჭერში რამოდენმეგან და მერე ვახერტილს ალაგს

ხის კოდებს დადგენენ. ოთხ საყენ სიგძე ფუტკრის ხაროზე ერთი სასულეც აქრის ასასვლელი სრულებით ეყოფა; რომელს ხაროსაც თაღები აქვს, იქ სასულეებს ბაიით გამოუტყრიან იქით-აქით ხაროში ჩასასვლელი პირები რომ არ ჩაიქცეს მიწით, თუ რომ ზედა მიწა ფხვიერია. ამ ჩასასვლელს ხაროს კვლავს ამოაშენებენ აყალიბიწადგან დაწყებული ფიცრით, როგორც ჭაში შერბიან. აყალიბიწის კვლავზე ოთხგან კუთხეებში დასობენ ოთხს ბოძს და ზედ ააშენებენ ფიცრის კვლავსა. მერე პირზე გაუკეთებენ ფიცრულის სახურავს და საფუტკრე ხარო მზათ არის. ამნაირი ხაროები ბევრათ უკეთესები არიან თალიან ხაროებზე, ამიტომ რომ ზოგიერთ წელიწადს, განსაკუთრებით გამოწაფულზე დიდი წვიმიანობის დროს თაღი დანამიანდება და ჩაიქცევა ხოლმე, ამის დამწერს ჰქონია ერთი ამგვარი საფუტკრე ხარო და მისში დიდი წვიმის შემდეგ ჩაქცეულა. იმის მწობდელს კიდეც უარესი საქმე მოსვლია. შემოდგომაზე ნოემბერში იმდენათ დანოტანებულა მიწა, რომ თაღი ჩაქცეულა, ამისთვის ჭერიან საფუტკრეები ბევრათ სჯობია სალიანებს იმითი, რომ ასე ჩაიქცევიან და ამისთანა ხაროებს ღრმათაც არ უნდა მიწაში გათხრა; ამისგანო პირი მუდამ წმინდათ აქვს ფუტკრებს. ბეკის ძირში გამოთხრილი საფუტკრეები მითია კარგი, რომ წვიმის წყალი ფერლოვებზე ჩამოდის, ერთ ალაგას არ დგება და არაოდეს ამისთანა საფუტკრეებში ნამი არ დგება. სწორ ალაგას საფუტკრე რომ გათხარიან კაცმა სანამ ზევიდგან ჭერს გაუკეთებდეს უნდა გამოწვა, ძალიან კარგათ, და მერე ზევიდგან ჭერი გაუკეთო. შემდეგ როცა პირი აქვს, საფუტკრე ხაროს იქ წვიმისაგან დასახსნელათ საჭიროა ზევიდგან სახურავი გაუკეთდეს და წვიმის წყალი ზევით ჭერზე რომ არ დიდგეს გარშემო პატარა ვაკე-ღუღეები შემოავლოს კაცმა წვიმის წყლის გადასადნათ, ყველას ემჯობინება, რომ ამისთანა საფუტკრე ხაროს ზევიდგან გადახურავდე იმ სიგძეს, რამდენსედაც ხარო ვატანი

საქართველო

ლი. ეს ფარდულები ხარობზე დიდს ხარ-
გებლობას აძლევენ ფუტკრებს; ისინი იფარ-
ევენ ფუტკრის ხარობს ნამისაგან. ზაფხულ-
ში ამ ფარდულებს ქვეშ აწყობენ ფუტკრების
ხელსაწყო იარაღებს და ტურკლებს, კოდებს,
გობებს, თესახურავეებს და სხე. ამასგარდა
შევიდგან, რომ ფარდული ექნება ფუტკრის
ხაროს, მაშინ ესე სქლათ მიწის დაყრა აღარ
არის საჭირო, როგორც მაშინ ზევიდგან ფა-
რდული რომ არა ჰქონოდა. მაშასადაე ხა-
როებში უფრო წმინდა ჰაერი იქნება და უკე-
რესია ფუტკრებისათვის. მაგდნათ ძვირფასი
ის არის ამისთანა ფარდულების კეთება, რა-
დგან კედლები წყნელით აქვს დაწული. ზე-
ვიდგან ჩალით არის გადახურული და წნე-
ლის კედლები მიწით აქვს გაღისილი.

იმისთანა სწორ ალაგებზე, როცა არც თი-
ხანი მიწაა და ფეხიერიც, ხაროს კედლებს
წნელის ღობით ამოაშენებენ, ზევიდგან ფი-
ტის ჰერს დაადგენ და მიწას დააყრიან. ამის-
თან ფუტკრის ხაროს წინ გამოკეპებული არ
აქვს, იმის მაგიერათ ჩასასვლელი ოთხკუთხი
წინა კარი აქვს ამოთხრილი და ერთს კე-
დულში კარი აქვს გამოჭრილი საფუტკრე ხა-
როში შესასვლელათ. ზევით ფარდული აქვს,
ან ჩალური გადადგმული. წინა ხარო, ან
ჩასასვლელი დერეფანი საფუტკრე ხაროსი
კედლებზე უნდა ამოაშენონ ჰასავით წნელის
ღობით. დერეფანს ზევით სახურავი აქვს გა-
კეთებული, რომელსაც თუ ძალიან სიცივე
ნაბადს შემოაკრენ გარემოში, თუ საფუტკრე
ხარო ძალიან გრძელი იქნა. მაშინ სასულეგე-
ბაც დატანებენ და ზევით ამ სასულეგებსაც
სახურავებსაც გაუკეთებენ; ამისთანა საფუტ-
კრე ხარობები განსაკუთრებით როცა ზედ
ჩალურია გადადგმული, მეტი არ შეიძლე-
ბა ისე, კარგათ ინახავს ფუტკრებს ზამ-
თარში, თბილა და ნოტიოც არ არის.
მათარის დამდგეს ყოველთვის გაახურებენ
ამისთანა ხაროს, რომ კიდელ ვაშრონ და
სუბიცი გამოდგონ, რომელნიც ზაფხულის
განშელობაში ჩაბუდებულან. ამგვართ ნა-
კეთებს ხარობებს თუ მარტო მიწის თაღები

აქვს, მაშინ ფუტკრების შეტანის წინათ შეყ-
რიან შეშას. დაანთებენ ცეცხლს და თუ ფი-
რული ქერაქვს, მაშინ ჩალოან ან ბზეს
შეყრიან და ცეცხლს მოაუკიდებენ, რომელ-
საც კეპილი ბეერი ადის და ალი არ უნდნება.
ჩასავალი დერეფანში თეთიონ მიწაზე ამაღლე-
ბული უნდა იყოს ნახევარ არშინზე; როცა
ტყე ბეერია, ამისთანა ფუტკრის ხარო იაფად
ჯდება, მაგრამ საცატყე ძვირია, იქ ვი მომეტე-
ბულათ ძვირია, წნელის უშონლობის გამო.

სხელი სამეცნიერო ამბები

ამ ქაზად ყოველგან ცილიობენ შეიტყონ,
რა ანაყოფიერებს მიწას, ან რა მიზნის გა-
მო არის მიწები სხვა და სხვა ანაყოფიერე-
ბისა, რუსეთში ამას წინათ ბევრგან განი-
ჯეს შავი მიწის შედგენილობა, მაგრამ მა-
შინ აღმოჩნდა, რომ ყველგან შავი მიწის
შედგენილობა ერთნაირია. ამ ცოტა ხანში
ერთი მეცნიერი შეუდგა ხელმოკრეთ მი-
წების დაკვირვებასა და ამისი გამოკვლევა
ძალიან უფრსადგებია ყველა მეოჯახეს-
თვის. ყურის სჯეროდან, რომ მარტო
ნაყელისაგან და მრავალნაირ ცხოველისა და
მცენარეების დარღვეული, დაშლილი, დამა-
ლი ნაწილები ასუქებსა მიწას; ამისთვის
მარტო ცხოველისა და მცენარის პატიეს
ხმარობდენ მიწის გასასუქებლათ. მეცნიერმა
ლიბინმა გამოიკვლია, რომ მცენარე იღებს
მიწიდან წვეს, რომელშიაც მრავალნაირი
მიწის ანაყოფიერება დამოკიდებულია იმა-
ზე, თუ რამდენათ ბეერია სამუშაო მიწაში
ის მანდულები, რომელთაც წვეში გლ-
ხელს იღებს მცენარე მიწიდანაო. თუ მი-
წაში ისე შეზავებულია ეს სხვა და სხვა მან-
დულის ნაწილები, როგორც მცენარის აგე-
ბულება მოითხოვს, მაშინ მიწა ძალიან ნა-
ყოფიერებას იხენს, იმაზე დათესილს მცენა-
რებს ძალიან ზდისო. თუ მიწა უნაყოფოა,
ალბათ მცენარის მრავალ გეარი მანდულის
საზღოა საკმაოთ არა აქესო და ამის გამო
უნდა ეცადონ, რომ შეიტყონ რომელი ნა-
წილი აკლია და ის შეაზაოსო. ამ შემთხვევა-

ში სასუქ ანუ ცხოველ მცენარის ნაწილი
მხოლოდ ირდევია სითბოსა გამო და ნახშირ
ძმარს აკეთებს, რომელიც მცენარეს სა-
სუნთქეათ უნდებოა. მეცნიერები უწინას-
კნელს ესამდის ასე ფიქრობდენ. ამ ბო-
ლოს დროს ერთმა მეცნიერმა დაიწყო მი-
წის ნოყიერების ძიება და ბეერი ახალი ან-
რები წარმოსთქვა. იმან აიღო შავი მიწა,
ჯერ ერთ ალაგიდგან და გააცალა კირი;
სხვა და სხვა მეყვე გეარი მიწაში შერეული
წენები და ბოლოს ეს მიწა გამოსწვა, რომ
ყოველნაირი ცხოველ მცენარის ნაწილი გაც-
ლოდა, ისე რომ მიწაში მარტო მანდულები
დარჩენილიყო. ნახა, რომ მარტაც სხვა და
სხვა შავს მიწაში ერთი და იგივე მანდულები
არიან; მაგრამ სხვა და სხვა გეარათ არის
განაწილებული; ერთი ქვეყნის შავ მიწაში
რომ ერთი მანდუელია მეტი, მეორე მიწაში
მეორე მანდუელია უფრო მეტი.

ერთმა ნემესის მეცნიერმა სცადა რითი
შეიძლება პურის თესლს გააცალოს კაცმა
სოკოს თესლო და არა გამოიცირო: ორას
სამოცდაათხმეტს ლიტრა ხორბალს უნდე-
ბა ერთი გირვანქა შაბიამანი, რომელიც
წმინდათ უნდა დანაყო, გახსნა ცხელ წყალ-
ში და ჩასლა ციფე წყლით გავსებულს კოდ-
ში, ისე რომ მალა იდგეს ხორბალზე. რო-
ცა ხორბალი დაღებდა და ამოეკ, წყალს მალ-
ლა არ დარჩეს. ხორბალს რამდენჯერმე აუ-
რევენ, მოხდიან ქაფს, რომელსაც ზევით
მოირთმევენ. ხორბალს ამყოფებენ წყალში
ერთ დღეს; მერე გადაწურვენ, გაშლიან და
ფენზე, კარგათ აურევენ და ერთ დღეს და-
ღავენ შემდეგ შეიძლება იმათი გათესვა.
ბევრნი ამბობენ, ვითომც ეს ცოტა ხორბ-
ლი ვისაც აქვს, იმათთვის არის კარგი. და
ვისაც ბეერი აქვს გასარეცხი, აშაირათ ხორ-
ბლის შემწავება სოკოს ვერ გააცლისო,
მაგრამ სულ ტყუილია, როგორც ცოტა ხორ-
ბალზე, ის ბევრზედაც კარგათ მოქმედებს ამ
ნაირთ გადასხმული შაბიამანიანის წყალი.

ჩვენ ყველას გეყვიარს ზამთარში მწე-
ნილის ჰემა; მაგრამ ძვირათ არის მეოჯახე



ან მებოსტნე, რომ მწვანის საშათში შესახებ კარგი მოწყობილი სარდაფი ჰქონდეს. ძალიან იაფად და ადვილად აი როგორ ინახვენ მწვანისა:

ოკტომბრის დამდეგს მწვანის მოთხრის გულდასმით გააჩვენ და ცოტათ კიდევ გაახმოებენ; მერე ერთ მტკიველ სიღრმეზე ამოთხრიან მიწას და დარგვენ ახლო ახლოს; მაგრამ ისე, რომ ერთმანეთს არ მიეკაროს. ამათი ხარობებს მერე მიწას დააყრიან და ამალღებენ, რომ წვიმა არ დადგეს ზედ და ადვილად ჩამადიოდას ძირს; თუ ძალიან ყინვები დაიწყო სასუქს დააყრიან ან ფუჩებს და ან ხვას; ამასით ყოველნაირი მწვანელი ძირიანა თავებინა, მეტი არ შეიძლება ისე ნაზად და ახლად შეინახება გაზაფხულამდის.

— ერბოს შენახვა. ბოქსიში ამოღებულს ერბოს კარგად როგორად გარეცხენ, გააშრობენ, დასჭრიან ნაწილ-ნაწილად და ჩადებენ ქოთანში, მაგრად დატყეპნიან, რომ ქოთანში ცარიელი ალაგი არ დარჩეს. მერე ამათათ გაესტეხოს ქოთნებს ერბოთ ჩადებენ წყლით საესე ბოქსიში და ვაცხელებენ, სანამ არ აღუღდება, მერე გადმოდგენ და ვაცეცებენ. გაღებულს ერბოს ყველის ნივთიერება ეცლება და გაზობა არამეტად არ წახდენს, კიდევ ვაცეცებენ, შეიძლება ამათი ერბო ნახევარ წელიწადსაც არ წახდეს და ისე კარგი გემოთი იქნება, თითქმის ახალი იყოს.

კომბოსტოს თესვა.

კომბოსტოს დასათესად მიწაც უნდა ამოვარ. ჩაოს კაცმა და დროც. კომბოსტოს დასათესად ყველას სჯობია შოშიანი ადგილი, დაბლობი ადგილი, მდინარის და ტბის მახლობლად, როცა ნიადაგის ქვედა პირი ქვიშიანია. მაგრამ კომბოსტოს გეობი მცენარე სხვა ალაგებზედაც კარგად მოვა, თუ მიწა კარგად არის შექუშავებული, მიწა უნდა მოხნა

ღრმად, დაფენა და სასუქით შეამზადო. კომბოსტოს დასათესად ალაგს ჯერ ღრმად დახენენ, დაფარცხენ, გამოშვარ წმინდა სასუქს მოაყრიან ზედ; მერე კიდევ მოხენენ პატრის კარგად შესარეათ მიწასთან და გაუშვებენ გაზაფხულამდის. გაზაფხულზე თოვლი რომ გაქრება, მიწას ხელმეორედ მოხენენ, ან დაბარგენ, დაფარცხენ, თუ დიდი ბელტები იქნა, დაფენიან, ასე რომ მიწას ძალიან კარგად დაოშვენ; მერე კვლებს კეთებას დაიწყებენ. სიგანით ყოველი კვალი ან არშინა ან არშინ ნახევარი და სიგძით, რამდენზედაც მიწის პატრანი ისურვებს, იმდენზე გაიტანს, არა უშვას რა, კვალს და-კვალს შუალარი ნახევარი არშინი მანც უნდა იყოს დარჩენილი. რამდენათაც ნამიანი მიწა და დაბლობი მიწა, იმდენათ კვლები უფრო ამალღებული უნდა იყოს. და თუ მიწა ისე ნამიანი არ არის, მაშინ კვლები ისე დაბლად უნდა იყოს გაკეთებული, კვალი სწორლარად უნდა იყოს გატანილი, რომ წყალი შიგ კარგად გაეადგამოვიდეს. ამათათ აკეთებენ კვალს, გამოზომენ კვალის სიგანეს და მერე გააკლებენ სახნის ღარის გასაკეთებლად. რომ მიწის ღარი ღარივით წაკეანილი იყოს, შეიძლება თოკი გაჭიონ და იმის სწორად სახნისიანი კუი გაატარონ. მერე მუშა ამ გაცეცეულს გააშენდს ბართა; მერე ვაკლებენ მეორე ღარს, შემდეგ ამ ნართათ რომ დააკეთებენ კვლებს, როცა დათბება და ყინვები აღარ არის, მაშინ გამოიტანენ საშამთრო ალაგებიდან ამოსულს კომბოსტოს და დაუწყებენ რეკას ეცლებზე, ამ საშამთრო ალაგებს შემდეგ ნართათ აკეთებენ. ამოთხრიან მიწას ერთ არშინს სიღრმეზე და არშინ ნახევარ სიგარზე. სიგარძს, რამდენიც მსურთ, იმდენს, მისცემენ. ამ თხრილებს მოაყრიან ძველტენის პატრეს და ზედ მიწას მოაყრიან.

ამ თხრილებს გარს შემოუწყობენ ხეებს, ფიცრებს და ზედ დაფარებენ მინის დიდს

ფანჯრებს, სანამ კვლებს დააკეთებდენ საშამთრო სათეს ალაგს, შუაში ახალს ცხენს ნებს დაუსერიან ერთ ალაგს, აურევენ გამზარფოთლებში, ისე რომ ერთა ნაწილი ფოთლებისა იყოს სამ ნაწილ ნებთან: რომ უფრო მალე დიშლოს ეს ფურცლები რეული ნებს, ზევიდან თბილს წყალდასხმენ; მერე დროსა და დროს გამოშვებით აურევენ, ათს დღეს შემდეგ, როცა ნებს სულ შუი ფერი დაედება, მერე თანსწორად მოაყრიან ყოველგან.

სანამ კომბოსტოს დათესდენ ამ საშამთრობოსტანში ან სარდაფში ჯერ ქოთნებში დათესენ და თუ თესლი მოვიდა, მერე საშამთრო სარდაფშიც დათესენ. კომბოსტოს სარდაფში მალე ამოსასვლელად დანარჩენს გორჯილასაც. საქირაა წინათვე გალოჯდეს თესლი, ამისთვის დააყრიან სველს მალზე, ან შალზე კომბოსტოს თესლს; ზევიდან დაფარებენ სველ შალსა და გამოიტანენ მზეზე იმპირობით რომ შალი არ გაშრეს. როცა თესლი გალოჯება, ძირებს გამოიღებს, მერე გაიტანენ სარდაფში და გათესენ; მაგრამ ფრთხილად უნდა მოქცეოს კაცი, რომ სათუთი ძირები ამოტყუდოს. შეიძლება თესლი წყლით საცხატანშიც გალოჯდეს ექვს დღეზე და თესლი კი ექვს წელიწადსაც გაძლებს რომ წახდება.

(შეიღვი აწუბ).

განცხადება

მაქვს პატივი განუცხადო ქუთაისის პუბლიკაციას, რომ ამ დღეებში მივიღე შემდგომი წიგნები: სამსახართლო წესდებანი (საქმის ყურახი), სახელმძღვანელოები ყველა საგნობისა, ქართული წიგნები, როგორც საერთო აგრეთვე საეკლესიო და ქართული და სასული კალენდარები 1873 წლისა. წიგნების განსივლიანი ქუთაისის ლებერნიის სტამბაში, ტფილისს ქუჩაზე ნეკრავის სახლში.

სამონ ჩაძახაძე